საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 18 მარტის №7 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2016** წლის 18 მარტის №7 სხდომაზე სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. ოთარ გელაშვილმა წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მისანიჭებელ კანდიდატთათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებები – №1949, №1950, №1951, №1952.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. მიენიჭოს სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდება სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის პროფესორ ომარ რუხაძეს და სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 60%-ით;
2. მიენიჭოს სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდება სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის პროფესორ ვახტანგ გოგილაშვილს და სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 80%-ით;
3. მიენიჭოს სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდება სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის პროფესორ თინათინ შუკაკიძეს და სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 60%-ით;
4. მიენიჭოს სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდება სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის პროფესორ გივი ხვიჩიას და სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 79%-ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის **18** მარტის **№7** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2016** წლის **18** მარტის **№7** სხდომაზე სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანმა, პროფ.ზურაბ წვერაიძემ წარმოადგინა საკითხი ემერიტუსის აკადემიური წოდების მისანიჭებელ კანდიდატისათვის სარგოს რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 11 მარტის დადგენილება **№1958**.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიენიჭოს სტუ-ის ემერიტუსის აკადემიური წოდება ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორ რ. ჩიქოვანს და სარგოს რაოდენობა განესაზღვროს 100%-ით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის **18** მარტის **№7** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2016** წლის **18** მარტის №7 სხდომაზე პროფ. თეიმურაზ ჭეიშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან ენერგოეფექტური მასალების და ინოვაციური ტექნოლოგიების ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 11 მარტის დადგენილება №1947.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან შეიქმნას თვითდაფინანსებაზე მყოფი ენერგოეფექტური მასალების და ინოვაციური ტექნოლოგიების ცენტრი და დამტკიცდეს მისი დებულება.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 18 მარტის №7 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 18 მარტის №7 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. 2015 წლის 17 დეკემბრის №191 ბრძანების საფუძველზე სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და სტუ-ის შორის გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2015 წლის ახლგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტებით დაფინანსებას, სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი იზრდება 58 500 ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე სტუ-ის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გრანტების გრაფა გაიზარდოს 58 500 ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს იმავე პროგრამით ეკონომიკური კლასიფიკაციის შემდეგ მუხლებში:

-„შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში – 9 050 ლარი;

-„ მივლინების“ მუხლში – 15 500 ლარი;

- „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯებში“– 4 100 ლარი;

- „წარმომადგენლობით ხარჯებში“– 150 ლარი;

- „სამეცნიერო ხარჯებში“ – 2000 ლარი;

- „ექსპედიციის ხარჯებში“ – 4 000 ლარი;

- „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „კომპიუტერული ტექნიკის შეძენის“ პუნქტში – 13 399 ლარი;

- „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „ელექტრო მოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების, ავეჯის შეძენის“ პუნქტში − 6 301 ლარი;

-„არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „სხვა მანქანა-დანადგარები, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტში − 4 000 ლარი.

2. შეტანილ იქნეს ცვლილება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (NAR/122/4-105/1; ხელმძღვანელი კ. ფხაკაძე) ხარჯთაღრიცხვაში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებში:

2.1 „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „სხვა მანქანა-დანადგარები, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ პუნქტიდან 2 500 ლარი გადატანილ იქნეს „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ/გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებულ საგამომცემლო/სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯებში.

3. საერთაშორისო საგრანტო პროექტების ხელშეკრულებებისა და ხარჯთაღრიცხვების თანახმად, სტუ წარმოადგენს თანადამფინანსებელ ორგანიზაციას, რომელთა თანადაფინანსების თანხები გათვალისწინებულია ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ხარჯთაღრიცხვის „სხვა ხარჯების“ მუხლის „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ პუნქტში. აღნიშნულიდან გამომდინარე, განხორციელდეს ცვლილებები, კერძოდ:

3.1 საერთაშორისო საგრანტო პროექტ №310436 – „POEMA“-ს (ხელმძღვანელი ე. ქუთელია) ხარჯთაღრიცხვის თანახმად თანადაფინანსების წილი შეადგენს 2 286 ლარს, რომელიც გამოყენებული იქნება პროექტით დაგეგმილი „მივლინების“ ხარჯების დასაფარავად. აღნიშნულიდან გამომდინარე „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ პუნქტიდან 2 686 ლარი გადატანილ იქნეს „მივლინების“ მუხლში;

3.2 საერთაშორისო საგრანტო პროექტ №309916 – „Z-Ultra“-ს (ხელმძღვანელი ე. ქუთელია) ხარჯთაღრიცხვის თანახმად თანადაფინანსების წილი შეადგენს 3 522 ლარს, რომელიც გამოყენებული იქნება პროექტით დაგეგმილი „მივლინების“ ხარჯების დასაფარავად. აღნიშნულიდან გამომდინარე, „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ პუნქტიდან 3 522 ლარი გადატანილ იქნეს „მივლინების“ მუხლში;

3.3 საერთაშორისო საგრანტო პროექტ №544091 – „TEMPUS“-ის (ხელმძღვანელი თ. ლომინაძე) ხარჯთაღრიცხვის თანახმად თანადაფინანსების წილი შეადგენს 20 047 ლარს, რომელიც გამოყენებული იქნება პროექტით დაგეგმილი ხარჯების დასაფარავად. აღნიშნულიდან გამომდინარე, „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ პუნქტიდან 6 292 ლარი გადატანილ იქნეს „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში, ხოლო 13 755 ლარი – „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „კომპიუტერული ტექნიკის შეძენის“ პუნქტში;

3.4. საერთაშორისო საგრანტო პროექტ №544605 – „TEMPUS“-ის (ხელმძღვანელი თ. ლომინაძე) ხარჯთაღრიცხვის თანახმად თანადაფინანსების წილი შეადგენს 13 308 ლარს, რომელიც გამოყენებული იქნება პროექტით დაგეგმილი ხარჯების დასაფარავად. აღნიშნულიდან გამომდინარე, „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ პუნქტიდან 9 308 ლარი გადატანილ იქნეს „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში, ხოლო 4 000 ლარი – „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „კომპიუტერული ტექნიკის შეძენის“ პუნქტში;

3.5. საერთაშორისო საგრანტო პროექტ №544191 – „TEMPUS“-ის (ხელმძღვანელი ი. მოსაშვილი) ხარჯთაღრიცხვის თანახმად თანადაფინანსების წილი შეადგენს 32 119 ლარს, რომელიც გამოყენებული იქნება პროექტით დაგეგმილი ხარჯების დასაფარავად. აღნიშნულიდან გამომდინარე, „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ პუნქტიდან 6 000 ლარი გადატანილ იქნეს „მივლინების“ ხარჯებში; 700 ლარი – „საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის“ ხარჯებში, 300 ლარი – „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯებში, 1000 ლარი –

„წარმომადგენლობით“ ხარჯებში; ხოლო 24 119 ლარი − „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „კომპიუტერული ტექნიკის შეძენის“ პუნქტში;

3.6 საერთაშორისო საგრანტო პროექტ №544521 − „TEMPUS“-ის (ხელმძღვანელი ო. ზუმბურიძე) ხარჯთაღრიცხვის თანახმად თანადაფინანსების წილი შეადგენს 18 437 ლარს, რომელიც გამოყენებული იქნება „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ დასაფინანსებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ პუნქტიდან 18 437 ლარი გადატანილ იქნეს „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში;

3.7 საერთაშორისო საგრანტო პროექტ №543904 − „TEMPUS“-ის (ხელმძღვანელი ს. დადუნაშვილი) ხარჯთაღრიცხვის თანახმად თანადაფინანსების წილი შეადგენს 8 551 ლარს, რომელიც გამოყენებული იქნება პროექტით დაგეგმილი ხარჯების დასაფარავად. აღნიშნულიდან გამომდინარე, „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ პუნქტიდან 4000 ლარი გადატანილ იქნეს „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში; 3 551 ლარი − „მივლინების“ მუხლში, ხოლო 1000 ლარი − „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ/გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო/სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯებში;

სულ ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული „სხვა ხარჯების“ მუხლის „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ პუნქტი შემცირდეს 98 270 ლარით, საიდანაც 15 359 ლარი გადატანილ იქნეს „მივლინების“ მუხლში; 38 037 ლარი − „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში; 700 ლარი − „საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის“ ხარჯებში; 300 ლარი − „მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯებში; 1 000 ლარი − „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერა-ტურის, ჟურნალ/გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო/სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯებში; 1000 ლარი − „წარმომადგენლობით“ ხარჯებში; ხოლო 41 874 ლარი − „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის „კომპიუტერული ტექნიკის შეძენის“ პუნქტში;

4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისიის სხდომის 2016 წლის 11 მარტის N08/03/2016 ოქმით მოწონებული და დამტკიცებულია პროექტ „კონფლიქტის დარეგულირების პრეცედენტები და აფხაზეთის განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი სტატუსის მოდელირებას“ (ხელმძღვანელი ჯ. გახოკიძე) დაფინანსება 35 000 ლარით. ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთი ბიუჯეტის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლის „საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯები, რომლებიც არ კლასიფიცირდება „საქონლისა და მომსახურების“ დანარჩენ მუხლებში“ პუნქტიდან 35 000 ლარი გადატანილ იქნეს „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლში.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 18 მარტის №7 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2016** წლის 18 მარტის №7 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის იჯარით გასაცემი ფართობების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, კანონით დადგენილი წესით, იჯარით გასცეს სტუ-ის ფართობები, კერძოდ:

1. სტუ-ის I სასწავლო კორპუსის ყოფილი სასადილოს ფართობის 200 კვ. მ. – კვების ობიექტის მოწყობის პირობით;
2. VIII სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე 32 კვ.მ. ფართობი – კვების ობიექტის მოწყობის პირობით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის **18** მარტის **№7** სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა **№6**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს **2016** წლის **18** მარტის №7 სხდომაზე პროფ. ირაკლი გაბისონიამ წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტში სასწავლო-სამეცნიერო საჯარო სამართლის ლაბორატორიის შექმნის შესახებ. სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 11 მარტის დადგენილება №1965.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: შეიქმნას სტუ-ის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სამართლის აკადემიურ დეპარტამენტში სასწავლო და სამეცნიერო ხასიათის საჯარო სამართლის ლაბორატორია, საზოგადოების, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის სამეცნიერო-პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვის, კვლევების ჩატარების, საჯარო სამართლის სფეროში არსებულ ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის, სამართლის კანონპროექტების განხილვის და მომზადების, ასევე, სამართლის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და მეთოდური ლიტერატურის შედგენის და სხვადასხვა საგანმანათლებლო სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელების მიზნით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე